47 თუ გაცდუნებს შენი  
თვალი, ამინითხარე იგი. გი-  
ჭიბს, ცალი თვალით შეხვი-  
დე ლეთას სასუფეგელში,  
ვიდრე ორი თვალი გქონდეს  
და ჩაგადონ ჭირობეთში,

48 სადაც მატლი მათი არ  
კვდება და ცეცხლი არ ნელ-  
დება.

49 ვინაიდან ყველა ცეც-  
ხლით დამარილდება და ყო-  
ველი მსხვერპლი მარილით  
დამარილდება.

50 მარილი კარგია, მაგრამ  
თუ მარილი უმარილო გახ-  
დება, რიათი შეაულებთ  
მას? იქონით თქვენში მარი-  
ლი და მშვიდობიანად იყა-  
ვით ერთმანეთში.“

### ძაბიგება გაყაზე

**10** და ადგა იქიდან და მი  
ვიდა იუდეის შასარეში  
და იორდანეს გაღმა. კვლავ  
მოგროვდა მასთან სალხი და,  
თავის ჩვეულებისამებრ,  
კვლავ ასწავლიდა მათ.

2 მოვიდნენ ფარისეველ-  
ნი და ეკითხებოდნენ: „თუ  
შეუძლია კაცს ცოლის გაშ-  
ვება?“ და სცდიდნენ მას.

3 მან მიუგო და უთხრა  
მათ: „რა დაგიწესათ მოსემ?“

4 მათ თქვეს: „გაყრის წიგ-  
ნის დაწერა და გაშვება.“

5 იესომ უთხრა მათ:  
„თქვენი გულქვაობის გამო

დაგიწერათ მან ეს მცნება.

6 მაგრამ შექმნის დასაბა-  
მიდან ღმერთმა მამაკაცად  
და დედაკაცად შექმნა ისი-  
ნი.

7 ამიტომ მანატოვებს კა-  
ცი მამას და დედას და მა-  
კრობა თავის ცოლს.

8 და ორნი იქნებიან ერთ  
ხორცად. ამრიგად, ისინი ორ-  
ნი კი არ არიან, ერთი ხორ-  
ცი არიან.

9 ამრიგად, რაც ღმერთმა  
შეუძლა, კაცი ნუ გაყრის  
მათ.

10 სახლში მოწაფეებმა  
კვლავ ჰქითხეს აპაზე.

11 და ეუბნება მათ: „ვინც  
თავის ცოლს გაუშვებს და  
სხვას შეირთავს, იგი მრუ-  
შობს მის მიმართ.

12 თუ ცოლი გაეყრება  
ქმარს და სხვას მისთხოვდე-  
ბა, მრუშობს.“

### იესო ბავშვებს აქეთხებს

13 და მოჟყვადათ მასთან ბა-  
შვები, რათა შეხებოდა მათ,  
მოწაფეები კი საცვდურობდა-  
ნენ მიმყვანებს.

14 დაინახა იესომ, გაწყრა  
და უთხრა მათ: „გამოუშვით  
ბავშვები და ნუ დაუშლით  
ჩემთან მოსვლას, ვინაიდან  
მაგათანირებისაა ღვთის სა-  
სუფეველი.

15 ჰეშმარიტად გეუბნე-  
ბით თქვენ: ვინც ბავშვივით  
არ მიიღებს ღვთის სასუფე-  
ველს, ვერ შეგა შიგ.“

16 მოეხვია მათ, ჰელები  
დაასხა და აკურთხა ისინი.

### შეკითხვა საუკენო სიყოსხეცხე

17 გზაზე რომ გამოდიოდა,  
ვიღაც კაცმა მიიჩნინა მს-  
თან, მუხლი მოიყარა მის წი-  
ნაშე და შეევედრა: „კეთი-  
ლო მოძღვარო, რა ვჭნა, რომ  
საუკუნო სიცოცხლე დავიძ-  
კვიდრი?“

18 იესომ უთხრა მას: „რა-  
ტომ მიწოდებ მე კეთილს?  
არავინ არის კეთილი, გარდა  
ერთი ღმერთისა.

19 იცი მცნებანი: არ იმრუ-  
შო, არ კლო, არ იპარო, არ  
იყო ცრუშოწმე, არ მოა-  
ტყუო, პატივი ეცი შენს მა-  
მას და დედას.“

20 მან უთხრა: „მოძღვარო,  
უფლეოვე ამას ჩემი სიჭაბუ-  
კიდან ვიცავდი.“

21 იესო დააკირდა მას და  
შეუყვარდა, და უთხრა: „ერ-  
თ რამ გაკლია: წადი, რაც  
გაქვს, გაყიდე და ლარიბებს  
დაურიგე და ზეცაში გეუბნე-  
ბა საუნჯე. მერე მოდი და გა-  
მოყევით.“

22 ის შეწუხდა ამ სიტყვებ-  
ზე და დანდგლოანებული  
წავიდა, ვინაიდან დიდამი  
ქონება ჰქითხდა.

23 იესომ მიმოიხედა და  
უთხრა თავის მოწაფეებს: „რა  
მეტლი იქნება სიმდიდ-  
რის მქონეთა შესვლა ღვთის  
სასუფეველში.“

24 მოწაფეები განცვიფრდ-  
ნენ მის სიტყვებზე. იესომ  
კვლავ მიუგო და უთხრა მათ:  
„შვილებო, რა ძნელია  
ღვთის სასუფეველში შესვ-  
ლა მათოვის, ვინც სიმდიდ-  
რეზეა დანდობილი!“

25 უმალ აქლემი გაძვრება  
ნემისის უგრწში, ვიდებო მდი-  
დარი შევა ღვთის სასუფე-  
ველში.“

26 იმათ კი უფრო მეტად

გაიოცეს და ერთმანეთში ამ-  
ბობდნენ: „ვისლა შეუძლია  
გადარჩენა?“

27 შეხედა მათ იესომ და  
თქვა: „ეს კაცთავის არის  
შეუძლებელი და არა ღვთი-  
სათვის, რადგან ღვთისათვის  
უყვლივე შესაძლებელია.“

28 დაუწუკ ბეტრებ მას  
ლაპარაკი: „აპა, ჩვენ ცველა-  
ფერი მივატოვო და შენ გა-  
მოგევით.“

29 თქვა იესომ: „ჰეშმარი-  
ტად გეუბნებით თქვენ: არა-  
ვინ არის, რომ ჩემი გულის-  
თვის და სახარების გულის-  
თვის მიეტოვებინოს სახლი  
ან მები, ან დები, ან მამა, ან  
დედა, ან ცოლი, ან შვილე-  
ბი, ან მიწები,“

30 და ასწილდა არ მიეღოს  
ახლა, ამჟამად, სახლები,  
მები და დები, დედები და  
შვილები, და მიწები ამ დევ-  
ნასთან ერთად, ხოლო მომა-  
ვალ საუკუნეში – საუკუნო  
სიცოცხლე.

31 მაგრამ ბევრნი პირებულ-  
ნი უკანასკნელნი იქნებან,  
ხოლო უკანასკნელნი – პირ-  
ელნი.“

## იუსტიციაშე გუნდება თავის სიკერიტზე

32 იერუსალიმს მიმავალ გზას რომ ადგნენ, წინ იქნა მიუძღვდათ და კრთობდენ ისინი. თანმხლებათც ეშინოდათ. კვლავ დაუახას თორმეტს და დაუწეულ ლაპარაკი იმზე, თუ რა შეემთხვეოდა მას:

33 „აპა, ჩვენ ავდივართ იერუსალიმს და კაცის ძე გადაეცემ მღვდელმთავრებსა და მწიგნობრებს; სასიკვდილო მსჯარის დასდებენ და წარმართებს გადასცემენ;

34 შეურაცყოფენ მას, გაშოლტავენ, შეაფურთხებენ და მოკლავენ, მესამე დღეს კი აღდგება.“

### ზებედეს ძენი

35 და მივიღენ მასთან ზებედეს ძენი იაკობი და ოიანე და უთხრეს: „მოძღვარო, ვვინდა შეგვისრულო, რასაც გთხოვთ.“

36 მან უთხრა მათ: „რა გინდათ, რომ შეგისრულოთ?“

37 მათ უთხრეს მას: „ნება მოგვეცი, ერთი ჩვენგანი

შენს მარგვნივ დაჭდეს და მორე – მარცხნივ, შენს დიდებაში.“

38 იქსომ უთხრა მათ: „არ იცით, რას ითხოვთ. განა შეგიძლიათ ის სასმისი შესვათ, რომელსაც მე ვსვამ და ის ნათლობა მიიღოთ, რომლითაც მე ვინათლები?“

39 მათ უთხრეს: „შეგვიძლია.“ იქსომ უთხრა მათ: „სასმისის, რომელსაც მე ვსვამ შესვამ და ნათლობით, რომლითაც მე ვინათლები, მონაცათლებით;“

40 მაგრამ ჩემს მარგვნივ ან მარცხნივ დაჭდომა ჩემშე არ არის, არამედ მათზე, ვისთვისაც გამზადებულია.“

41 და მოისმინა იმ ათმა და დაიწყეს დრტვინგა იაკობზე და იოანეზე.

42 იქსომ უხმო მათ და უთხრა: „თქვენ იცით, რომ ისინი, ვინც ხალხების მთავრებად არიან მიწნეულნი, ბატონობენ მათზე და მათი დადებულნი ხელმწიფებენ მათზე.“

43 მაგრამ თქვენს შორის ასე ნუ იქნება, არამედ, ვი-

საც თქვენს შორის დიდობა სურს, ის თქვენი მსახური იყოს;

44 ვისაც თქვენს შორის პირველობა სურს, ის იყოს უველა მონა.

45 რადგან ძე კაცისა არ მოსულა იმისათვის, რომ მას ემსახურონ, არამედ იმისათვის, რომ თავად ემსახუროს და მისცეს თავისის სული მრავალთა გამოსასყიდად.“

### ბიმა ბაჟიმეოსის განკუნება

46 და მივიღენ იერისოს. იერისოდან რომ გადიოდა, თავის მოწაფეებთან და დიდალ ხალხთან ერთად, გზის პირას იგდა ბრძა მათხოვარი, ტიმეს ძე, ბარტიმაიოსი.

47 როცა გაიგო, იქსონ ნაზა-

რეველიაო, მორთო ყვირილი და ამბობდა: „იქსო, დავითის ძეო, შემიწყალე!“

48 ბევრი უწყერებოდა მას, რომ გაეწიუმებინათ, მაგრამ უფრო მეტად ყვიროდა: „დავითის ძეო, შემიწყალე!“

49 და შედგა იესო და თქვა: „დაუძახეთ მას.“ და დაუძა-

ხს ბრძას და უთხრეს: „ნუ გეშინია, ადექი, გეძახის.“

50 მან გადაიგდო მოსახამი, ადგა და მივიდა იესოსთან.

51 მიუგო მას იესომ და თქვა: „რა გინდა, რომ გაგიკეთო?“ ბრძამ უთხრა: „რაბუზი, რომ თვალი ამხილოდა.“

52 იესომ უთხრა მას: „წადი, შენმა რწმუნა გიხსნა.“ და მყისევა აეხლოა თვალი და გაედევნა მას გზაზე.

### იეჟისალიმში ზეიმით შესველა.

„ოსანა მალატია შინა!“

**11** როცა მიუახლოვდ ნენ იერუსალიმს, ბეთბაგეს და ბეთანიას, ზეთისხილის მთასთან, გააგზავნა ორი თავისი მოწაფეთაგანი.

2 უთხრა მათ: „წადით სოფელში, თქვენს წინ რომ არის. როგორც კი შეგ შენგალთ, გაშინვე იძოვით დაბულ ჩინჩორს, რომელზეც გერ კაცი არ შეგდარა. ახსენით და მომიყვნეთ.

3 თუ გინგმებ გითხრათ: ამას რას შეგრძებითო? უთხა-

რით, რომ უფალს სჭირდება და უმაღლ დაგიბრუნებს-თქმ.“

4 წავიდნენ და იძოვეს ქუჩაში კართან დაბმული ჩინორი, და აუშვეს იგი.

5 იქ მდგომათაგან ზოგიერთმა უთხრა მათ: „რა შევრბით, რატომ ხსნით ჩინჩილს?“

6 მათ უთხრეს, როგორც იესომ უთხრათ, და მოეშვნენ მათ.

7 და მიჰვარეს ჩინორი იესოს. ზედ თავიანთი ტანისამოსი დაუფინეს და შევდა მასზე.

8 ბევრმა დაუფინა გზაზე მას თავისი ტანისამოსი, ზოგმა კი მინდორში მოჭრილი ტოტები.

9 წინ მიმავალნი და უკან მიმუროლნიც დაღადებდნენ: „ოსანა! კურთხეულ არს უფლის სახელით მომავალი!“

10 კურთხეულ არს ჩეგნი მამის, დავითის მომავალი სამეფო! ოსანა, მაღალთა შინა!“

11 და შევიდა იესო იერუსალიმში, ტაძარში, და დაათვალიერა ყველაფერი. უკვე

გვიანი იყო და თორმეტთან ერთად გავიდა ბეთანიისაკენ.

### ცელვის ხის დაწყევეა

12 მეორე დღეს, ბეთანიიდან რომ გავიდნენ, მოშივდა.

13 შორიდან დაინახა გაფოთლილი ლეღვის სე და წავიდა, რომ ზედ რამე ეპოვა. რომ მივიდა, ვერაფერი იძოვა ფოთლების მეტი. არ იყო ლეღვიდის დრო.

14 მიუბრუნდა და უთხრა მას: „ნუღარავინ ჭროს უკუნისამდე ნაყოფი შენი!“ და გაიგონეს მისმა მოწაფეებმა.

### ტაძის განნმედა

15 და მივიდნენ იერუსალიმში და შევიდა ტაძარში იესო, და დაიწყო გამყიდველთა და მყიდველთა გამორეკვა. მეკერმეთა დახლები და მტრედების გამყიდველთა მტრები ააყირავა.

16 არ ანგებდა, რაიმე გაეტარ-გამოეტარებინათ ტაძარზე.

17 და ასწავლიდა მათ და ეუბნებოდა: „არ სწერია, ჩე-

ძი სახლი ყველა ხალხის სამლოცველო სახლად იწოდებაო? თქვენ კი ავაზაკთა ბუნავად აქციეთ.“

18 გაიგონეს მღვდელმთავრებმა და ექცებდნენ, როგორ დაერუბათ იგი, რადგან ეშინოდათ მისი, რაც მთელი ხალხი გაოცებული იყო მისი მოძღვრებით.

19 როცა მოსაღამოვდა, გავიდნენ ქალაქიდან.

20 დილით ჩაიარეს და დაინახეს, რომ ლეღვი ფეხსვებამდე გამხმარიყო.

21 და გახსენდა პეტრეს და უთხრა მას: „რაბი, ამა, ის ლეღვი, შენ რომ დასწევებლე, გამხმარა.“

22 მიუგო იესომ და უთხრა მათ:

23 „იქონიეთ ღვთის აწმენა. შემშარიტად გეტყვით, რომ ვინც ეტყვის ამ მთას: აიწიე და ზოგაში ჩავარდიო, და გულში არ შევეცვდება, არამედ ირწმუნებს, რომ მისი სიტყვისამებრ მოხდება, აუსრულდება მას.“

24 ამიტომ გეუბნებით: ცველაფერს, რასაც ლოცვა-

ში ითხოვთ, გწამდეთ, რომ მიიღებთ და თქვენი იქნება.

25 როცა ლოცვად დახახართ, მიუტევეთ, თუ რაიმე გაქვთ ვინებს წინააღმდეგ, რათა თქვენმა მამაცა ზეცაში მოგორეოთ თქვენი შეცოდებანი.

26 ხოლო თუ თქვენ არ მიუტევებთ, არც თქვენი მამა, როგორიც ზეცაშია, მოგიტევებთ თქვენს შეცოდებებს.“

### მლველმთავების შეკითხვა

#### იესოს ხელმიფანებაზე

27 კვლავ მივიდნენ იერუსალიმში და, როცა იგი ტაძარში მიმღიღოდა, მღვდელმთავარი, მწიგნობარი და უხუცესი მივიდნენ მათთან.

28 და უთხრეს მას: „რომელი ხელმწიფებით აკეთებ ამას? ან ვინ მოგცა შენ ეს ხელმწიფება?“

29 იესომ უთხრა მათ: „მეც გვითხვთ ერთ სიტყვას; მიპასუხეთ და მეც გეტყვით, რომელი ხელმწიფებით ვაკეთებ ამას.“

30 იოანეს ნათლისცემა ზეციდან იყო თუ კაცთაგნ?

აბა, მიპასუხეთ.“

31 ისინი ერთმანეთში ბჭობდნენ: თუ ვიტყვით, რომ ზეცილანი, გვიტყვის: მაშ რაღატომ არ იწამეთი მისი?

32 ხოლო თუ იტყოდნენ: კაცთაგანო, ხალხისა ეშინოდათ, ვინაიდას უკელას მიანდინა, რომ იოანე სამდვილად წინასწარმეტყველი იყო.

33 და მიუგეს იესოს და უთხრეს: „არ ვიცით.“ იესომ უთხრა მათ: „არც მე გვიტყვით, რომელი ხელმწიფებით ვაკეთებ ამას.“

### იგავი ბოქოს მინისმეშაკაბზე

**12** და დაიწურ მათთან იგავებით ლაპარაკი: „უაცმა ვაზი ჩაყარა, ღობე შემოვლო, საწანებლი ამოკვეთა და შეგ კოშკ ჩადგა. ჩაბარა იგი მიწისმუშაკებს და წავიდა.

2 უამმა რომ მოაწია, ერთი მონა გაუგზავნა მიწისმუშაკთ მიწისმუშაკთაგან ვენახის ნაყოფის მისალებად.

3 მათ კი შეიძყრეს იგი, სცემებს და ხელვარიელი გაუშვეს.

4 კვლავ სხვა მონა გაუგზავნა. იგი თავში დაჭრეს და შეურაცხვევს.

5 სხვა გაგზავნა და მოკლეს ის. და კიდევ ბევრი სხვა. ზოგსა სცემებს და ზოგც მოკლეს.

6 ჰყავდა ერთი საყვარელი ძე. ბოლოს ისიც გაუგზავნა მათ, თქვა: ჩემი ძის მოერიდებათ.

7 მიწისმუშაკებმა უთხრეს ერთმანეთს: ეს მისი მემკვიდრეა. მოდით, მოკლათ და მემკვიდრეობა ჩეგნ დაგვრჩება.

8 და შეიძყრეს იგი, მოკლეს და გადააგდეს ვენახიდან.

9 რას იზამს ვენახის პატრონი? მივა, ამოწვეტს მიწისმუშაკთ და ვენახს სხვებს გადასცემს.

10 ნუთუ არ წაგიკითხავთ ეს წერილი: „ქვა, შენებლებმა რომ დაწუნეს, ქვაკუთხებად იქცა;“

11 უფლისგან მოხდა ეს და საოცრება ჩეგნს თვალში?“

12 შეეცადნენ მის შემყრბას, მაგრამ ხალხისა შეეშნ-

დათ, ვინაიდან მიხვდნენ, რომ მათზე თქვა ეს იგავი. და მიატოვეს იგი და წავიდნენ.

### კუისხის გაცასახატებ

13 და მიუგზავნეს მას ზოგიერთი ფარისეველთაგან და შეროლდანთაგან, რომ და-ეჭირათ სიტყვაში.

14 მივიდნენ და უთხრეს: „მოძღვარო, ვიცით, რომ წირფელი ხარ და ყველას მიმართ მიუკურძოებელი, რადგან კაცთა მდგომარეობას არ უყურებ, არამედ სიწრდეფელით ასწავლი დავთის გზას. უნდა გამლიოთ ხარები კეისარს თუ არა? მივცეთ თუ არ მივცეთ?“

15 მან იცოდა მათი ოვალომაჟცობა და უთხრა მათ:

„რატომ მდიდით? მომიტანეთ დინარი, რომ დავტედო.“

16 მიუტანეს და მაშინვე უთხრა მათ: „ვისია ეს სახე და წარწერა?“ კეისრისაო, უთხრეს მას.

17 იესომ უთხრა მათ: „მიუცით კეისრისა კეისარს და დავთისა – დამერთს.“ და უკვირდათ მისი.

შეკითხვა ზეცაში  
ქმნინებაზე

18 და მივიდნენ მასთან სა-დუკველნი, რომელიც ამ-ბობდნენ, აღდგომა არ არი-სო, და ჰყითხეს მას:

19 „მოძღვარო, მოსემ დავ-ვიწერა: ‘თუ ვინმე მოუკვ-დება მას და დარჩება მას ცო-ლი, ხოლო შვილი არ დარ-ჩება, მისმა ძმმ უნდა შეირ-თოს ის ცოლი და დაუდგი-ნოს თესლი თავის ძმს’.“

20 იყო შვილი ძმა. პირ-ველმა შეიირთო ცოლი და ისე მოკვდა, შთამომავლობა არ დარჩენა.

21 მეორემ შეიირთო იგი და მოკვდა. არც მას დარჩენია შთამომავლობა. ასევე მესა-მემ.

22 შვილთაგან არც ერთს არ დარჩენია შთამომავლო-ბა. ყველას შემდეგ კი დედა-კაციც მოკვდა.

23 აღდგომისას, როცა აღ-დგებიან, რომელი მათგანის ცოლი იქნება, ის ხომ შვიდი-ვეს ჰყავდა ცოლად?“

24 უთხრა მათ იესომ: „იმი-ტომ ხომ არ ცდებით, რომ არ

იცით არც წერილები და არც ძალი ღვთისა?“

25 რადგან მკვდრეთით აღდგომისას არც ცოლს ირთავენ, არც თხოვდებიან, არამედ არაია, როგორც ანგელოზები ცაში.

26 ხოლო იმის თაობაზე, რომ მკვდრები აღდგებიან, ნუუა არ ამიგიყითხვათ მოსეს წიგნში, როგორ უთხრა მაყვანის ბუჩქითან ღმერთმა მას: „მე ვარ ღმერთი აბრაა-მისა, ღმერთი ისაკისა და ღმერთი იაკობისა?“

27 ღმერთი მკვდრებისა კი არაა, არამედ ცოცხლებისა. ძალიან სცდებით.“

### ერიესი მცნება

28 მივიდა მასთან ერთი წიგნბართაგანი, რომელიც ყურს უგდებდა მათ კამათს და იცოდა, რომ მან კარგი პასუხი გასცა მათ, და ჰქითხა: „რომელია უბირველესი მცნება?“

29 მიუგო იესომ: „პირველი არის ისმინდ, ისრაელი! უფალი, ღმერთი ჩვენი, ერთი უფალია.“

30 შეიცვარე უფალი, ღმერთი შენი მთელი შენი გულით, მთელი შენი სულით, მთელი შენი გრძებით, მთელი შენი შეძლებით. ეს არის ბირველი მცნება.“

31 მეორე არის: „შეიცვარე მოყვასი შენი, როგორც თავი შენი. ამთხე დიდი მცნება არ არსებობს.“

32 უთხრა მას იმ წიგნბარმა: „კეთილი, მოძღვარო, ჰეშმარიტება თქვი შენ, ვინაიდან ერთია და სხვა არავინ არის მის გარდა,

33 გიცვარდეს იგი მთელი გულით, მთელი გონიერებით, მთელი სულით, მთელი ძალით, და გიცვარდეს მოყვა-

სი, როგორც თავი შენი. ეს ყოველ სრულადდასაწველ-სა და შესაწირავზე მეტია.“

34 იესომ დაინახა, რომ მან გონივრულად უპასუხა, და უთხრა მას: „შორს არ დგასარ ღვთის სასუფელისა-გან.“ ამის შემდეგ ვეღარავინ შებედა, რამე ეკითხა.

35 მიუგო იესომ და თქვა, როცა კვლავ აწავლიდა ტა-ძარში: „როგორ ამბობენ

შწიგნობარნი, რომ ქჩისტე დავითის ძე?“

36 თვითონ დავითმა თქვა სულიწმიდით: „უთხრა უფალმა ჩემს უფალს: დაჭე-ები ჩემს მარჯვნივ, ვიღიე და-გამხობდე შენს მტრებს შენს ფერხთა სადგამად.“

37 ოვთონ დავითი უფალს უწინდებს მას და როგორდა არის მისა ძე?“ მრავალი ხალხი უსმენდა მას მოწადი-ნებით.

38 და თქვა თაგისი მოძღვ-რებიდან: „ერიდე მწიგ-ნობრებს, რომელთა ც გრძე-ლი სამოსლით სიარული და მოედნებზე მოკითხვანი უყ-ვართ;

39 ხოლო სინაგოგებში – წინა რიგები და ნადიმებზე – წინა ადგილები.

40 რომელიც ჭამენ ქვრივ-თა სახლებს და მოსაჩვენებ-ლად დიდხანს ლოცულო-ბენ, ისინი უფრო დიდ სას-ჩელს მიიღებენ.“

### ქეხივის მზ ლეპა

41 იჯდა საგანძუროს წინ იე-სო და ხედავდა, როგორ ყრი-

და ხალხი ფულს საგანძურ-ში. მრავალმა მდიდარმა ბევ-რი ჩაყარა.

42 მოვიდა ერთი ღარიბი, ქვრივი დედაკაცი და ჩადო-ორი ლეპტრი, რომელიც კოდ-რანტს შეადგინს.

43 დაუძხა მნი თავის მოწა-ცებს და უთხრა: „ჟეშმა-რიტად გეუნბებით თქვენ: ამ ღარიბმა ქვრივმა საგანძურში უველა ჩამდებზე მეტი ჩადო.“

44 ვინაიდან ყველად თავი-სი მოჭარბებულიდან ჩადო, ამან კი თავისი სინაკლული-დან ჩადო, ყველაფერი, რაც კი სასიცოცხლოდ გააჩნდა.“

**ნინასნაჲენება  
იეჲსაღიმის ღანბევაზე**

**13** როცა ტაძრიდან გა მო-

დიოდა, ერთმა მოწა-ცეთაგანმა უთხრა: „შეხედე, მოძღვარო, რა ლოდებია და რა შენობები!“

2 იესომ უთხრა მას: „ხე-დავ ამ დიდ შენობებს? ქა ქვაზე არ დარჩება აქ, რომ არ ჩამოქცეულ!“

3 როცა ზეთისხილის მთა-ზე იჯდა ტაძრის გასწვრივ,

ჰეკითხეს მას განმარტოებით  
მყოფმა პეტრებმ, იაკობმა,  
იოანებ და ანდრიამ:

4 „გვითხარი, როდის მოხ-  
დება ეს, და რა იქნება იმის  
ნიშანი, როცა უოვლივე ეს  
უნდა მოხდეს?“

5 იესომ დაუწუო მათ ლა-  
პარაკი: „გაფირთხილდით,  
რომ არავინ შეგაცდინოთ,

6 რაგან ბევრი მოვლენ  
ჩემი სახელით და იტყვიან,  
მე ვარო, და მრავალს შეა-  
დენენ.

7 როცა მოისმენთ ომებზე  
და ომების ხმებზე, ნუ შეძ-  
რწუნდებით: ეს უნდა მოხ-  
დეს, მაგრამ ჯერ კიდევ არ  
არის აღსახული.

8 აღდგება ერთეულის წინა-  
აღმდევ და სამეცნ სამეცნს  
წინააღმდევ. იქნება მიწისძვ-  
რები ადგილ-ადგილ და შიმ-  
შილობები. ეს მშობიარობის  
ტკივილთა დასაწყისია.

**ნინასნაჲენება ანჯვაზე.  
ჲენინასნაჲმეუყველი**

9 „თქვენ კი მიხედეთ  
თქვენს თავს: გადაცემენ  
სამსაგროზე, გცემენ სინა-

გოგებში, განმეგბელთა და  
მეცეთა წინაშე წარსდგებით  
ჩემს გამო, მათ წინაშე დასა-  
მოწმებლად.

10 ჯერ სახარება უნდა ექ-  
დაგოს ყველა ერს.

11 როცა წაგიცვანენ გადა-  
საცემად, ნუ იზრუნებთ წი-  
ნასწარ, რა ილაპარაკოთ;  
არამედ, რაც იმ უამს მოგვ-  
ცემათ, ის ილაპარაკოთ, ვინა-  
იდან თქვენ კი არ ილაპარა-  
კოთ, არამედ სულიწმიდა.

12 მა ძმს გადასცემს სასიკ-  
ვდილოდ და მამა – შეიღლს. ალ-  
დეგბაინ შეიღლები მშობლების  
წიაღმდევ და დახოცავებ მთ.

13 მოძულებულნი იქნე-  
ბით ყველას მიერ ჩემი სახე-  
ლის გამო. ხოლო ვინც ბო-  
ლომე მოითმენს, გადარჩება.

14 როცა იხილავთ გატია-  
ლების სიბილწეს იქ, სადაც  
არ ხამს, იუდეაში მყოფმა  
მოებს მიაშუროს;

15 ვინც ერდოზე იქნება,  
ნუ ჩიმოვა და ნურც შევა შინ  
რაიმეს გამოსატანად;

16 ვინც მინდორში იქნება,  
ნუ დაბრუნდება უკან თავი-  
სი სამოსლის გამოსატანად,

17 ხოლო ვა ირსულებს  
და მეძუძურებს იმ დღეებ-  
ში!

18 ილოცეთ, რომ ეს ზამ-  
თარში არ მოხდეს,

19 ვინაიდან იმ დღეებში  
ისეთი გასაჭირია იქნება, რომ-  
ლის მსგავსი არ ყოფილა  
შევნის დასაბამისან, რომე-  
ლიც შექმნა დმერთმა, დღე-  
ვანდელ დღემდე, და აღარც  
არასოდეს იქნება.

20 უფალს რომ არ შეემოკ-  
ლებინა ის დღეები, ვერა  
ხორციელო ვერ გადარჩებო-  
და. მაგრამ ის დღეები შეა-  
მოკლა იმ რჩეულთათვის,  
რომლებიც მან ამოიჩია.

21 მაშინ თუ ვინმე გეტუ-  
ვით: აპა, აქ არისო ქრისტე,  
ან: აპა, იქო, არ ერწუნოთ.

22 ვინაიდან აღდგებიან  
ცრუქრისტეები და ცრუწი-

ნასწარმეტყველნი და მოი-  
მოქმედებენ სასწაულებსა  
და ნიშნებს, რათა რჩეულნი  
შეაცდინონ, თუ კი შეძლე-  
ბენ.

23 თქვენ კი გაფირთხილ-  
დით. წინასწარ გითხარით  
უველაფერი.

24 მაგრამ იმ დღეებში, იმ  
გასაჭირის შემდგომ, მზე  
დაბნელდება და მთვარე  
აღარ გამოსცემს თავის ნა-  
თელს.

25 იქნება ვარსკვლავთა  
ცვენა და შეირყევიან ციუ-  
რი ძალები.

26 მაშინ იხილავენ კაცის  
ძეს, ღრუბლებზე მომავალს  
დიადი ძალით და დიდებით.

27 მაშინ იგი წარგზავნის  
თავის ანგელოზებს და შეკ-  
რებენ მის რჩეულებს ოთხ-  
თავ ქართაგინ, მიწის კიდი-  
დან ცის კიდემდე.

### იფხიზეთ და იცოცეთ

28 „ლეღვისაგან ისწავლეთ  
მაგალითი: როცა მისი რტოვ-  
ბი დარბილდება და შეიფოთ-  
ლება, იცით, რომ ახლოა ზაფ-  
ული.

29 ასევე, როცა იხილავთ,  
რომ ეს ყოველივე ხდება,  
იციდეთ, რომ კარსა მომდ-  
გარი.

30 ჟეშმარიტად გეუბნე-  
ბით თქვენ: არ გადაივლის ეს  
თაობა, ვიდრე ყოველივე ეს  
არ მოხდება.

31 ცა და მიწა გადავლენ,  
ჩემი სიტყვები კი არ გადავ-  
ლენ.

32 მაგრამ იმ დღეზე და  
უაშენ ახავით იცის, არც ცა-  
უჩრა ანგელოზებმა, არც  
ქემ, არამედ მხოლოდ მამამ.

33 იფრთხილეთ, იფხიზ-  
ლეთ და ილოცეთ, რადგან  
არ იცით, როდის დადგება ის  
ჟამი.

34 როგორც შორ გზაზე  
მიმდავალმა კაცმა მიატო-  
ვოს თავისი სახლი, თავის  
მონებს მისცეს ხელმწიფე-  
ბა და ყველას თავისი საქ-  
მე შიუჩინოს და მექარეს  
უბრძანოს ფხიზლად ყოფ-  
ნა,

35 ისე იფხიზლეთ, რად-  
გან არ იცით, როდის მოვა  
სახლის პატრიონი – საღა-  
მოთი თუ შუაღამისას, მამ-  
ლის ყივილზე თუ განთია-  
დისას,

36 რათა მოულოდნელად  
რომ მოვიდეს, მძინარენი არ  
გბოვოთ.

37 რასაც თქვენ გეუბნე-  
ბით, ყველას ვეუბნები: იფ-  
ხიზლეთ.”

იქსოს ცხება ძეინიფასი  
ნეცსაცხებით

**14** სექისა და უფუარობის  
დღესაცწაული იყო. მღვდელ-  
მთავარნი და მწიგნობარნი  
ეძიებდნენ, როგორ შეებუ-  
როთ იგი მზაკვრობით და მო-  
ექლათ.

2 და ამბობდნენ: ოღონდ  
დღესაცწაულზე არა, რათა  
ხალხი არ აღშფოთდესო.

3 როცა იქსო ბეთანიაში  
იყო, სიმინდ კეთროვნის სახლ-  
ში, და ინახად იყდა, მივიდა  
დედაკაცი, რომელსაც ალე-  
ბასტრიონის ჭურჭლით ჰქონ-  
და სუფთა ნელსაცხებელი  
ძეირად ღირებული ნარდი-  
სა. და გატეხა მან ალებასტ-  
რიონი და თავზე დასახა მას.

4 იყვნენ ზოგიერთნი,  
რომლებიც აღშფოთებით  
ლაპარაკობდნენ ერთმანეთ-  
ში: ასე რად დაიხარგა ნელ-  
საცხებელიო?

5 ხომ შეიძლებოდა ამ  
ნელსაცხებლის გაყიდვა სა-  
მას დაინარზე მეტად და ღა-  
რიბებისათვის დარიგება?  
და კიცხავდნენ მას.

6 იქსომ თქვა: „მოეშვით  
მაგას, რატომ აწუხებთ? მა-  
გან ხომ სიკეთე მიყო.

7 გინაიდან ღარიბინი მუ-  
დამ თქვენთანა გყავთ და,  
თუკი მოისურგვით, შეგიძ-  
ლიათ სიკეთე უყოთ მათ. მე  
კი მუდამ არ გვეყოლებით.

8 მან ის გააკეთა, რაც შე-  
ეძლო: წინასწარ სცხო ჩემს  
სხეულს დასამარხავად.

9 ჭეშმარიტად გვუბნე-  
ბით თქვენ: საღადც კი იქადა-  
გებენ სახარებას მთელ სო-  
ფელში, იტყვინ, რაც მან გა-  
ასეთა, მის მოსაგონებლად.“

ბოლო სექმბა.

ჰექი ღა ლოინ

10 იუდა ისკარიოტელი,  
ერთი იმ თორმეტთავანი, წა-  
ვიდა მღვდელმთავრებთან,  
რათა გაეცა იგი.

11 მათ მოისმინეს, გაიხა-  
რეს და აღუთვეს მას ვერც-  
ლის მიცემა. ის კი მარჩვე  
შემთხვევას ეძებდა, რათა გა-  
ეცა იგი.

12 უფუარობის პირველ  
დღეს, როცა საპასექო კრა-  
გი იკვლებოდა, მისმა მოწა-

უებმა უთხერეს მას: „სად  
გინდა, რომ წავიდეთ და მო-  
გიძიზადოთ საჭმელად ბასე-  
ქი?“

13 გაგზავნა თრი თავისი  
მოწაფეთაგანი და უთხრა  
მათ: „წალით ქალაქში და შე-  
მოგექტებათ კაცი, რომელ-  
საც კოკით წერალი მოაქვს.  
გაშევით მას

14 სადაც შევა, უთხარით  
სახლის პატრიონს: „მოძღვარ-  
ბით თქვენ: საღადც კი იქადა-  
გებენ სახარებას მთელ სო-  
ფელში, იტყვინ, რაც მან გა-  
ასეთა, მის მოსაგონებლად.“

15 ის გიჩვენებთ ზემოთ-  
ვალს, მოფარდავებულსა და  
გამზადებულს. იქ მოგვიმზა-  
დეთ.“

16 და გამოგიდნენ მისი მო-  
წაფები, შევიდნენ ქალაქში  
და იბოვეს, როგორც მან უთ-  
ხრა, და მომზადეს პასექი.

17 რომ მოსაღამოვდა,  
თორმეტთან ერთად მოვიდა  
იგი.

18 როცა ისხდნენ და ჭამდ-  
ნენ, იქსომ თქვა: „ჭეშმარი-  
ტად გეუბნებით თქვენ: ერ-  
თი თქვენგანი, რომელიც

ჩემთან ერთად ჭრის, გამცემს მე.“

19 ისინი დანალლიანდნენ და ჰქითხეს სათითაოდ: „მე ხომ არა ვარ?“

20 მან უთხრა მათ: „ერთი თორმეტთაგანი, ჩემთან ერთად გამში ჩამწობი.

21 რადგან კუცის ქე მიდის, როგორც დაწერილია მასზე, მაგრამ, ვაი იმ კაცს, ვის მიერაც გაიცემა ქე კაცისა. იმ

კაცისათვის უმტკბესი იქნებოდა, არ დაბადებულიყო.“

22 როცა ისინი ჭიდნენ, ათლო იესომ ბური, აკურთხა, დატეხა, მისცა მათ და თქვა: „აადლეთ და ჭამეთ – ეს ჩემი სხეულია!“

23 აიღო სასმისი, მადლი შესწირა და მისცა მათ. და იქიდან შესვა ყველა.

24 უთხრა მათ: „ეს არის ჩემი სისხლი ახალი აღთქმისა, მრავალობათვის დაღრიული.

25 ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მეტს ათარ შევსებ ვაზის ნაყოფისაგან იმ დღემდე, როცა შეესვამ ახალს ღვთის სასუფეველში.“

**ნინასნაჲნება ჰეჭეს  
მიერ ეაჷყოაზე**

26 იგალობეს და გავიღნენ ზეთისხილის მთაზე.

27 უთხრა მათ იესომ: „უკულანი ცდუნდებით, ვინაძან დაწერილია: ‘დაცუცი მწყებელს და გაიფანტებიან ცხვრები.’“

28 ხოლო ჩემი აღდგომის მერე წინ წაგიძლევით გალოლეაში.“

29 პეტრემ უთხრა მას: „თუნდაც ყველანი ცდუნდნენ, მაგრამ მე არა!“

30 უთხრა მას იესომ: „ჭეშმარიტად გეუბნები შენ: ამდამ, სანამ მამალი ორგერ იყივლებდეს, სამჯერ უარმყოფ.“

31 ის კი მეტი თავგამოდებით ეუბნებოდა: თუნდაც რომ მოკვდე შენთან ერთად, არ უარგყოფო. ასევე ამბობდნენ სხვებიც.

**გეთსიმანიში ცოცვა**

32 მივიღნენ ადგილზე, რომლის სახელია გეთსიმანია, და უთხრა თავის მოწაფეებს: „ისხედით აქ, სანამ ვლოცულობ.“

33 და წაიყვანა თავისთან პეტრე, იაკობი და იოანე. და იწყო წუხილი და ურვა.

34 უთხრა მათ: „სასიკვდილოდ არის დაწერებული ჩემი სული. იყავით აქ და იფხიზლეთ.“

35 ცოტა გაიარა, დაემხო მიწაზე და ლოცულობდა, რათა, თუ შესაძლებელი იყო, ასცდენდე ეს უძინ.

36 თქვა: „აბბა, მამაო, შენთვის ყოველივე შესაძლებელია. ამაცილე ეს სასმისი. მაგრამ არა რაც მე მსურს, არამედ, რაც – შენ.“

37 მოვიდა და ნახა ისინი მძინარენი და უთხრა პეტრეს: „სიმონ, გძინავს? ვერ შესძლი, ერთ საათს ვეცხიზლა?

38 იფხიზლეთ და ილოცეთ, რომ არ ჩავარდეთ განსაცდელში. სული მხნეა, ხოლო ხორცი უძლური.“

39 კვლავ წაიდა, ლოცულობდა და იმავე სიტყვებს ამბობდა.

40 მობრუნდა და მძინარენ იპოვა ისინი, ვინაიდნ თვალები დამძიმებოდათ;

და არ იცოლნენ, რა ეპასუხათ მისთვის.

41 და მოვიდა მესამედ და უთხრა მათ: „თქვენ ისევგძინავთ და ისვენებთ? კმარა. მოვიდა უამი. აპა, კაცის ძე გადაეცემა ცოდვილთა ხელთ.

42 ადექსით, წავიდეთ. აპა, მოახლოვდა ჩემი ვამცემი.“

**გაცემა იუდას მიერ.**

**მონაფების გაფანტვა**

43 კიდევ ლაპარაკობდა, რომ აპა, მოვიდა იუდა, ერთი თორმეტთაგანი, და მასთან ერთად ხალხი მახვილებით და კეტებით – მღვდელმთავართაგან, მწიგნობართაგან და უხვცესთაგან.

44 მის გამცემს მიეცა მათოვის ნიშანი და ეტქა: „გიოსაც მე ვეპმორები, ის არის იგი, შეიძყარით და დაცვით წაიყვანეთ.“

45 როცა მოვიდა, მყისევე მიეტრა მას და უთხრა: „რაბი!“ და ეაბორა.

46 მათ კი ხელი დაადეს მას და შეიძყრეს იგი.

47 ერთმა იქ მდგომთაგანმა იძრო მახვილი, დასცხო

მღვდელმთავრის მონას და ყური ჩამოათალა.

48 მიუგო იქსომ და უთხრა მათ: „აგან, აგაზაკი ვარ, მახვილებითა და კეტებით რომ მოხვედით ჩემს შესაძყრობად.“

49 ყოველდღე თქვენთან ვიყავი ტაძარში და გასწავლიდით, და არ შეგიძეროვაროვათ. მაგრამ, დაე, აღსრულდეს წერილები.“

50 და მიატოვეს იგი და ყველანი გაიცენენ.

51 ერთი ვიალც ჭაბუკი, რომელსაც შიშველ სხეულზე ტილო მოესა, მაშვებოდა მას და შეიძერეს იგი.

52 შეატოვა ტილო და შიშველი გაიცა.

იქსო სინეტენის  
ნინაშე.

**ჟეჟეს** მოქა უაჟუფა

53 მიიკანეს იქსო მღვდელმთავრთან. და თავი მოიყარა ყველა მღვდელმთავარმა, უხუცესა და მწიგნობარმა.

54 პეტრე შორიდან მიშევებოდა მას, თვით მღვდელმთავრის ეზომდე, და დაჭდა

მსახურებთან და ცეცხლს მიეყიცხა.

55 მღვდელმთავარნი და მთელი სინედრიონი ექებდენ მოწმობას იქსოს წინააღმდეგ, რათა მოეკლათ იგი, მაგრამ ვერ პოულობდნენ.

56 მრავალი სწამებდა ცილს, მაგრამ ეს მოწმიბანი ერთმნეოს არ ემთხვეოდა.

57 ზოგინ წამოდგნენ და ცილს წამებდნენ მას, ამბობდნენ:

58 ჩვენ მოვუსმინეთ, რომ ლაპარაკობდა: მე დავანგრევ ამ ხელით ქმნილ ტაძარს და სამ დღეში ავაშენებ სხვას, ხელთუშმნელსო.

59 მაგრამ არც მათი მოწმობანი ემთხვეოდა ერთმანეთს.

60 დადგა მღვდელმთავრი შუაზე და ჰყითხა იქსოს: „არაფერს უპასუხებ? რა არის, რასაც ესენი შენს წინააღმდეგ მოწმობენ?“

61 ის დუმდა და არაფერს პასუხობდა. კვლავ ჰყითხა მას მღვდელმთავრმა: „შენა ხარ ქისტე, მე კურთხეულისა?“

62 იქსომ თქვა: „მე ვარ. თქვენ იხილავთ კაცის ძეს ძა-

ლის მარჯვნივ მედომარეს და ცის ღრუბლებში მომავალს.“

63 მღვდელმთავარმა შემოიხია სამოსელი და თქვა: „რაღად გვინდა მოწმენი?“

64 თქვენ მოისმინეთ გმობა. რას იტევით?“ მაშინ ყველადად მსხავრი მას, როგორც სიკვდილის თანამდებს.

65 ზოგიერთებმა დაუწეუს მას ფურთხება: სახე დაუბურეს და სკედნენ, და ეუბნებოდნენ: იწინასწარმეტყველეო, და მსახურნი სილას აწნავდნენ.

66 როცა პეტრე ქვემოთ, ეზოში იყო, მივიდა მასთან მღვდელმთავრის ერთი მეგალთავანი.

67 დაინას ცეცხლს მიფიცხებული პეტრე, დააკვირდა და უთხრა: „შენც იქსონაზარეველთან ერთად იყავი.“

68 მან უარყო და თქვა: არ ვიცი და არც მესმის, რას ამბობო. და პეტრე გავიდა ეზოს გარეთ, და იყივლა მამალმა.

69 მხევალმა დაინასა იგი და კვლავ უთხრა იქ მღვდელმებს: ესეც იმათთავანია.

70 მან კვლავ უარყო. მცირებების შემდეგ იქ მღვდელმებმა კვლავ უთხრებს პეტრეს: „ნამდვილად იმათგანი ხარ, რადგან შეც გალილევლი ხარ, კილოზეც გეტურობა.“

71 და დაიწყო მან თავის წეველა და ფიცილი: არ ვიცნობ იმ კაცს, ვისზეც მელაპარაკებით.

72 მყისვე მეორედ იყივლა მამალმა და პეტრეს გაახსენდა სიტყვა, რომელიც იქსომ უთხრა, სანამ მამალი ორგერ იყივლებდეს, სამჭერ უარმყოფო. გაახსენდა და ატირდა.

იქსო პირატეს ნინაშე

**15** მყისვე დილადრი ანად მღვდელმთავრებმა უხუცესებთან, მწიგნობრებთან და მთელ სინედრიონთან ერთად მოითაბირეს და შექრეს იქსო, წაიკანეს და პილატეს გადასცეს.

2 და ჰყითხა მას პილატემ: „შენა ხარ იუდეველთა

მეფე?“ ხოლო მან მიუგო და უთხრა: „შენ ამბობ.“

3 მღვდელმთავარი ბევრ რამეს აბრალებდნენ მას.

4 პილატემ კვლავ პჲითისა მას: „არაფერს უპასუხებ? ხედავ, რამდენს გაბრალებენ?“

5 მაგრამ იესო აღარაფერზე პასუხობდა და ეს აოცებდა პილატეს.

6 დღესასწაულზე იგი უთავისუფლებდა ხოლმე მათ ერთ ბატიმარს, ვისჩეც სთხოვდნენ.

7 და იყო ვინძებ ბარაბად წილებული, ქემბონებდას ერთად შებორეკილი, რომელთაც ამბოხისას მკვლულობა ჩაედინა.

8 ავიდა ხალხი და დაუწყო იმის თხოვნა, რასაც იგი ჩვეულებისამებრ უსრულებდა მათ.

9 პილატემ მიუგო მათ და უთხრა: „გინდათ გაგითავისუფლოთ იუდეველთა მეფე?“

10 ვინაიდან იცოდა, რომ მღვდელმთავრებმა შურით გადასცეს იგი.

11 მაგრამ მღვდელმთავრებმა ააგულიანეს ბრბი, რომ ბარაბა გაეთავისუფლებინა მათთვის.

12 პილატემ კვლავ მიუგო და უთხრა: „რაღა უუყო მას, ვისაც თქვენ იუდეველთა მეფეს უწილებთ?“

13 მათ კვლავ იყვირეს: „ვგარს აცვი იგი!“

14 პილატემ უთხრა მათ: „რა ბოროტება ჩაიდინა?“ მაგრამ ისიძი უფრო მეტად აყვირდნენ: „ვგარს აცვი იგი!“

15 პილატემ, რომელსაც სურდა ხალხის დაქმაყოფილება, გაუთავისუფლა მათ ბარაბა, ხოლო იესო გაშოლტვის შემდეგ გადასცა, რათა ვგარს ეცვათ.

### გოცგოთა

16 ვარისკაცებმა შეიყვანეს იგი იმ ეზოს შიგნით, ანუ პირტორიაში, და შეკრიბეს მთელი რაზმი.

17 შემოხეს იგი ძოწეულით და დაადგეს ეკლისიგან დაწინული გვირგვინი.

18 და დაუწეს მას მისალ-

მება: „გიხარიდეს, იუდეველთა მეფევ!“

19 ლერწამს ურტყამდნენ თავში, აფურთხებდნენ და მუხლმოყრილნი სცემდნენ თავებანს.

20 როცა შეურაცყვეს, გახადეს ძოწეული და მისივე ტრინსაცმელი ჩაცვეს, და გამოიყვნეს, რომ ვგარს ეცვათ.

21 აიძულეს ერთი გამვლელი, სიმონ კვირინელი, ალექსანდრეს და რუფუსის მამა, რომელიც მინდვრიდან მოდიოდა, ეზიდა მისი ვგარი.

**ვკაჩე სიკვეირი ღამისი მონმები**

22 და მიიყვანეს იგი იმ ადგილას, რომელსაც ჰქვია გოლგოთა, რაც ნიშავს თხემის ადგილს.

23 და მიწიოდეს მას მურნარევი ღვინო დასალევად, მაგრამ არ მიიღო.

24 და ვგარს აცვეს და გაიყვეს მისი სამოხელი წილის გრით - ვის რა ერგებოდა.

25 მესამე საათი იყო, როცა ვგარს აცვეს იგი.

26 იყო წარწერილი წარწერა მისი ბრალებისა: „მეფე იუდეველთა.“

27 მასთან ერთად ვგარს აცვეს ორი ავაზაკი, ერთი მის მარჯნით და მეორე მარცხნივ.

28 და აღსრულდა წერილი, რომელშიც ნათქვამის: „ბოროტმიქედთა შორის შეირაცხა“.

29 გამვლელები თავს აქნევინენ და გმობდნენ მას და ამბობდნენ: „ეპე, ტაძრის დამაგრეველო და სამ დღეში ამშენებელო,

30 იხსენ საკუთარი თავი და გადმოდი ვგრიდა!“

31 ასევე მღვდელმთავარი, მწივნობრებთან ერთად, დასცინოდნენ და ერთმანეთს ეუბნებოდნენ: „სხევებს იხსიდა, საკუთარი თავის სსნა კი არ შეუძლია.“

32 ქრისტე, მეფე ისრაელისა, ჩამოვიდეს ახლა ვგრიდან, რომ ვინილოთ და ვიზრებულებიც ლანძლავდნენ მას.

33 მეევეს საათზე ბნელმა მოიცავა მთელი კვეყანა მეცხრე საათამდე.

34 მეცხრე საათზე შესძახა იქსომ დიდი ხმით: „ელოი, ელოი, ლამა საბაქთანი?“ რაც ნიშანებს: ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რად მისატყვევ?

35 იქ მდგომარეობის ზოგიერთებმ მოისმინებ და თქვეს: აპა, ელიას უხმობსო იგი.

36 ერთი ვიღაც გაიქცა, ღრუბელი მმწვრთნა გაუღინითა, წამიაგო ლერწამზე და მიაწოდა დასალევად, თან ამბობდა: აპა, გვასოთ, თუ მოვა ელია მის ჩამოსახსნელად.

37 იქსომ ხმამაღლა შესძახა და სული განუტევა.

38 და ტაძრის კრეტსაბმელი ორად გაიპო, თავიდან ბოლომდე.

39 როცა მის წინაშე მდგომა ასისთავმა დაინახა, რომ ასე შესძახა და განუტევა სული, თქვა: „შეშმარიტად ღვთის ქე იყო ეს კაცი.“

40 აქ იყვნენ ქალებიც, რომლებიც შორიდან უმზერდნენ. მათ შორის მარიამ მაგდალელიც, იაკობ მცირისა და იოსეს დედა მარიამი, და სალომე,

41 რომელნიც მაშინ, როცა ის გალილეში იყო, თან დაჲყვებოდნენ და ემსახურებოდნენ მას. ასევე მრავალი სხვაც, რომლებიც მასთან ერთად ამოვიდნენ იერუსალიმს.

### იესოს ღაეხსაცვა

42 როცა მოსაღალოვდა, რაკი იყო პარასკევია, ანუ შაბათის წინადღე,

43 მოვიდა იოსებ არიმათიელი, მჩხევლთა გამოჩენილი წევრი, რომელიც თავადაც მოელოდა ღვთის სასუფეველს, თამამად შევიდა პილატესთან და გამოითხოვა იქსომ გვამი.

44 პილატეს გაუკვირდა, რომ იგი უკვე მკვდარი იყო. დაუძახა ასისთავს და ჰყითხა: „დიდი ხანია მოკვდა?“

45 ეს რომელიც ასისთავისაგან, უბობა იოსებს გვამი.

46 და მან იყიდა ტილო, გარდმოხსნა იგი, შემოახვია ტილო და დასახვნა სამარხში, რომელიც კლდეში იყო გმოკვეთილი, და ლოდი მიაგორა სამარხის კარზე.

47 მარიამ მაგდალელმა და მარიამა, – იქსომ დედამ – დაინახეს, სადაც დაასვენეს იგი.

### ქადები ცაჲიერ სამარხთან

16 შაბათი რომელიცადა, მარიამ მაგდალელმა, მარიამ იაკობისამ და სამომები იყიდეს სურნელებანი, რომ მისულიყვნენ და ეცხოო მის თვალს.

2 შვიდეულის პირველ დღეს, დილაადრიანად მივიღენ სამარხთან, მზის პოსტილისას.

3 ერთმანეთში ამბობდნენ: ვინ გადაგვიგორებს ღოდს სამარხის კაზიდან?

4 გაიხედეს და დაინახეს, რომ ლოდი გადაგორებულია, ძალიან დიდი კი იყო.

5 და შევიდნენ სამარხში და დაინახეს მარგვნივ მედომარე ჭაბუკი, სპეტაკი სამოსლით შემოსილი, და შეშფოთდნენ.

6 მან უთხრა მათ: „ნუ შეშფოთდებით! თქვენ ეძებთ ჭვარცმულ იესო ხაზა-

რეველს. იგი აღდგა, აქ არა არის. აპა, ადგილი, სადაც ის დაასვენეს.

7 მაგრამ წადით, უთხარით მის მოწაულებს და პეტრეს: აპა, წინ მივიძლოვ იგი გალილეისაკენ. იქ ნახავთ მას, როგორც ნათვამი აქვს თქვენთვის.“

8 გამოვიდნენ და გაიქცნენ სამარხიდან, რადგან აცახვახებული და თავაზადაცმული იყვნენ. არავის არაფერი უთხრეს, რადგან ეშინდათ.

### იესო ევლინება მონაფეებს

9 შვიდეულის პირველ დღეს ადრე აღმდეგარი პირველად ეჩვენა მარიამ მაგდალელს, რომლისგანაც შვიდი ეშმაკი განდევნა.

10 ისიც წავიდა და შეატყობინა მათ, ვინც მასთან იუგნენ ხოლმე – მგლოვიარეთ და მოტირალთ.

11 ხოლო მათ, როცა მოისმინეს, რომ ცოცხალია და მარიამმა იხილა იგი, არ იჩწმუნეს.

12 ამის შემდეგ სხვა სახით ეჩვენა ორ მათგანს, როცა დაბისკენ მიდიოდნენ.

13 ისინი მივიდნენ და სხვებს შეატყობინებს, მაგრამ არც ამათი იჩწმუნება.

14 მოგვიანებით ეჩვენა თერთმეტს, ინხით მსხდრით, და უსაყველურა უჩწმუნოება და გულქვაობა, რადგან არ იჩწმუნეს მათი, რომლებმაც აღმდგარი იხილეს იგი.

15 უთხრა მათ: „მოედეთ მთელს სოფელს და უქადაგეთ სახარება ყოველ ქმნილებას.

16 ვინც იჩწმუნებს და მოანათლება, გადარჩება. ვინც არ იჩწმუნებს, მსჯავრი დაედება.

17 ეს სასწაულები იქნება მორჩილებათა თანმხლობი: ჩემი სახელით ეშმაკებს განდევნიან,

ახალი ენებით ილაპარაკებენ, 18 ხელში გველებს აიყვანენ და, თუნდაც ჩაიმე სასიკ-

ვდილო შესვან, არ ავნებთ. ავადმყოფებს ხელებს და ასხამენ და განიკურნებიან ისინი.“

### ამაღლება

19 ასე, მათთან სუბრის შემდეგ უფალი იესო ამაღლდა ზეცად და დაჯდა ღვთის მარჩვნივ.

20 ისინიც წავიდნენ და ქადაგებდნენ ყველგან. და უფალი შეეწეოდა მათ და განამტკიცებდა სიტყვას თანამდევი სასწაულებით. ამინ.